

GC აღმანახი

№7 / ივლისი, 2020 წ.



სარჩევი

| | |
|--|----|
| სამხედრო სწავლებები საქართველოს სამეზობლოში..... | 3 |
| დაპირისპირება სირიის ცაში | 4 |
| აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცებული 2021 ფისკალური წლის ასიგნებების აქტის გარკვეული ჩანაწერების შეფასება..... | 6 |
| მაკრონის 5-წლიანი საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვამდე 2 წლით ადრე, საფრანგეთს ახალი მთავრობა ჰყავს..... | 8 |
| 2020 წლის 21 ივლისი - ისტორიული დღე ევროპისთვის..... | 9 |
| საოკუპაციო ხაზთან სახიფათო პროვოკაციები არ წყდება | 11 |
| საქართველო კვლავ აკმაყოფილებს ვიზა ლიბერალიზაციის მოთხოვნებს..... | 13 |

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

სამხედრო სწავლებები საქართველოს სამეზობლოში



ფოტო: РИА Новости

სულ ცოტა ხსნის წინ აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ასლან ბჟანია, რესეთის შეიარაღებული ძალების და ე.წ. აფხაზური ნაწილების ერთობლივ სამხედრო წვრთნებს დაესწრო. აღნიშნული წვრთნები „ცაბალის“ პოლიგონზე გაიმართა.

ბჟანიას განცხადებით იგი კმაყოფილი დარჩა მიმდინარე წვრთნებით და მაღალი შეფასება მისცა ჯარების სახეობათა ურთიერთქმედებას. მან ხაზი გაუსმა, რომ მსგავსი სწავლებები მუდმივ რეჟიმში უნდა იმართებოდეს, ვინაიდან „ყოველივე ეს ემსახურება აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის განვითარებას.“

მოსკოვის და სოხუმი რამდენიმე დღის განმავლობაში ატარებდნენ წვრთნებს „ცაბალის“ და „ნაგვალაუს“ პოლიგონებზე. სწავლების აქტიური ფაზა შავის ზღვის სანაპიროზეც ჩატარდა, სადაც მოტომსროლელთა ნაწილები ჰაერსაწინააღმდეგო, საარტილერიო და სადაზვერვო ძალებთან ერთად შეტევისა და თავდაცვის მოქმედებებს ამუშავებდნენ.

საერთო ჯამში, სწავლებაში 3000 ადამიანმა და 300 ერთეულზე მეტმა ჯავშანტექნიკამ მიიღო მონაწილეობა. კერძოდ, გამოიყენებოდა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები C-300, ტანკები T-72B3, ჯავშანმანქანები БТР-82А, ტსსკ «Штурм», თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С3 «Акация», ჰაუბიცები Д-30, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები «Град», ასევე ნაღმტყორცნები, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო მანქანები.

აღსანიშნავია, რომ სწავლებიდან რამდენიმე დღეში, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის დავალებით, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში მოულოდნელად საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება დაიწყო, რომელიც დაახლოებით 5 დღე გაგრძელდა. საგულისხმოა, რომ შემოწმება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სიტუაციის გართულებას დაემთხვა დროში.

შემოწმება, რუსეთის სამხრეთ და დასავლეთ სამხედრო ოლქებში მოხდა, რომელშიც საჰაერო-სადესანტო და საზღვაო ფლოტის ქვეითთა ნაწილებიც მონაწილეობდნენ.

აღნიშნული შემოწმება ასევე დაგეგმილი სწავლების „კავკასია 2020“-ში მონაწილეობისათვის სამხედრო ნაწილების მზაობას შეაფასებს. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული შემოწმების ფარგლებში სამხედრო ნაწილებმა დაახლოებით 50-მდე სხვადასხვა ტიპის სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც 35 სახმელეთო და 17 საზღვაო პოლიგონზე გაიმართა.

<https://rg.ru/2020/07/17/vnezapnaia-proverka-boegotovnosti-vojsk-prodlitsia-do-21-iiulia.html>

<https://radiosputnik.ria.ru/20200713/1574303786.html>

დაპირისპირება სირიის ცაში



ირანული ხადად-ის ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა

ისრაელმა მორიგი შეტევები განახორციელა სირიის ტერიტორიაზე არსებულ ირანის მოკავშირე ძალებზე. ისრაელის წყაროები შემფოთებულები არიან იმის აღბათობით, რომ ირანმა სირიაში

შესაძლოა განათავსოს ადგილობრივი წარმოების ჰაერსაწინააღმდეგო [ხორდად-ის](#) ტიპის სისტემები. აღნიშნულმა შეიძლება ლეტალური საფრთხე შეუქმნას ებრაელ პილოტებს. ებრაულმა მხარემ რუსეთს ირანზე ზეწოლის განხორციელება სთხოვა, თუმცა ამის მიუხედავად რუსეთმა საჰაერო ხომალდი გააგზავნა ებრაულ მოიერიშეებზე თვალთვალისათვის.

ებრაულ მფრინავებს რამდენიმე დღის წინ ძლიერი საცეცხლე წინააღმდეგობა შეხვდათ სირიის ტერიტორიაზე, რის საპასუხოდაც სირიაში არსებული რამდენიმე ჰაერსაწინააღმდეგო ბატარეა იქნა განადგურებული. არსებული ინფორმაციით, სულ მცირე ერთ ებრაულ მოიერიშეს შეხვდა ცაში რუსული ბორტი, რომელმაც როგორც ცნობილი გამოცემა *Breaking Defense* ამბობს - განხორციელებული მანევრებით ებრაულ ბორტს სურვილის შემთხვევაში მისი გადააჭერის შესაძლებლობა აჩვენა.

აღსანიშნავია, რომ ამ მორიგ დამაბულობას წინ, ამა წლის 9 ივლის ირანის გენერალური შტაბის უფროსის გენერალ მუჰამედ ბაქრის სირიაში ვიზიტი უძღოდა, რომლის მიზანი სირიის თავდაცვის მინისტრთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება იყო. აღნიშნული ხელშეკრულების მთავარი საგანი, ირანის დაპირებაა, რომ იგი სირიას თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს მიაწოდებს.

17 ივლის ისრაელის თავდაცვის მინისტრმა, ბენი განცსა და რუსეთის თავდაცვის მინისტრს სერგეი შოიუგუს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, სადაც ებრაულმა მხარემ გააფრთხილა ვიზავი, რომ არ დაუშვებდა ირანული სისტემების სირიაში განთავსებას და სთხოვა ზეწოლის განხორციელება ირანულ მხარეზე.

ხორდადის ტიპის სისტემა, როგორც ცნობილია, დაფუძნებულია რუსული „ბუკის“ სისტემაზე და საკმაო ეფექტურობით გამოირჩევა. მიჩნეულია, რომ სწორედ აღნიშნული სისტემის მიერ იქნა ამერიკული დრონი [RQ-4A Global Hawk](#) ცოტა ხსნის წინ ჩამოგდებული. მას ერთდროულად ოთხი სამიზნის წინააღმდეგ შეუძლია მოქმედება დაახლოებით 200 კმ-ის რადიუსში.

რეგიონში, აღნიშნული ვითარება განმხუტვისაგან ჯერ კიდევ შორსაა და როგორც ჩანს ებრაული მხარე არ აპირებს მისი პოზიციის დათმობას.

პროფ. ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცებული 2021 ფისკალური წლის ასიგნებების აქტის გარკვეული ჩანაწერების შეფასება



<https://www.ghn.ge/news/239017-heritage-foundation-ashsh-sakartvelos-urtiertobis-5-prioriteti>

2020 წლის 24 ივლისს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცდა საგარეო ოპერაციების და მასთან დაკავშირებული პროგრამების კანონპროექტი.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოსთვის არანაკლებ \$132,025,000-ის მოცულობის დახმარების გამოყოფას.

რაც შეეხება 15%-ის ოდენობის ფინანსური დახმარების გაცემაზე გარკვეული დათქმის გაკეთებას, ეს მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიული და ბიზნეს გარემოს მეტად გაუმჯობესებას და კორუფციასთან ბრძოლის პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას.

საბოლოო ჯამში, რეფორმების გაგრძელება, უწყვეტობა ემსახურება საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლის სისტემის ფორმირების წარმატებით დასრულებას. ეს პროცესი კი კიდევ უფრო განამტკიცებს ამერიკასა და საქართველოს შორის სტრატეგიულ თანამშრომლობას.

ამავდროულად, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს საბოლოო ვარიანტს. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი დამტკიცებულია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ, საკითხი განხილულ უნდა იქნას საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატაში - სენატში.

საკანონმდებლო პროცესის წარმართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის - წარმომადგენელთა პალატისა და სენატის როლი. კერძოდ, აუცილებელია კანონპროექტის კენჭისყრა კონგრესის ორივე პალატაში და მხოლოდ ამის შემდეგ ეგზავნება ის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ხელმოსაწერად. როგორც წესი, პრაქტიკაში იშვიათია, როდესაც ორივე პალატის კანონპროექტის ტექსტის ფრაზეოლოგია ემთხვევა. შესაბამისად, განსხვავებულ პოზიციებთან დაკავშირებით შეთანხმების მისაღწევად შესაძლოა საჭირო გახდეს ერთობლივი კომიტეტის მოწვევა, რომელიც კომპლექტდება საკანონმდებლო ორგანოს ორივე პალატის წევრებისგან. კომიტეტის წევრები შეიმუშავენ საერთო ანგარიშს კანონპროექტის საბოლოო ვერსიისთვის და აღნიშნულ დოკუმენტს თითოეული პალატა კვლავ დაამტკიცებს. ამ პროცედურების დასრულების შემდეგ კანონპროექტი ეგზავნება პრეზიდენტს, რომელმაც შესაძლოა ვეტოს უფლება გამოიყენოს, არ მოაწეროს ხელი კანონპროექტს და დაუბრუნოს კონგრესს.

ამასთანავე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის ხსენებულ დოკუმენტში გაკეთებული მნიშვნელოვანი ჩანაწერები, რომლებიც წარმოადგენენ გარანტს არაღიარების პოლიტიკის წარმატებით გაგრძელებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ურყევ მხარდაჭერას.

კერძოდ, კანონპროექტის მიხედვით, დოკუმენტით გათვალისწინებული დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერც ერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, თუ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დაადგენს და ასიგნებების კომიტეტს წარუდგენს ანგარიშს იმის შესახებ, რომ ხსენებულმა სახელმწიფომ აღიარა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა, მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ან რაიმე ფორმით გამოვლინდა ოკუპაციისადმი მხარდაჭერა. მეტიც, წარმომადგენელთა პალატის კანონპროექტის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინის დეპარტამენტმა უნდა შეიმუშავოს შესაბამისი ინსტრუქცია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აშშ-ის აღმასრულებელი დირექტორებისთვის, რათა მათ მხარი არ დაუჭირონ ნებისმიერი იმ პროგრამის დაფინანსებას, რომელიც ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ნიშანდობლივია, რომ კანონპროექტი, „რუსეთის ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდის“ ფარგლებში, ითვალისწინებს არანაკლებ 290 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას ევროპისა და ევრაზიის ქვეყნებისთვის, მათ შორის, საქართველოსთვის.

ამ თანხის გამოყოფის მიზანია რეგიონის სახელმწიფოების სამართალდამცავი და უსაფრთხოების ძალების შესამდლებლობების განვითარება, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შეთანხმებების ეფექტიანად შესრულებისთვის ხელის შეწყობა, რუსეთის ფედერაციის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის შემცირება.

ამასთანავე, ამერიკელმა კონგრესმენმა, საქართველოს ჯგუფის თანათავმჯდომარემ ადამ კინზინგერმა შემდეგი განცხადება გააკეთა - „რეალობა კი ისაა, რომ საქართველო გვიყვარს, ეს ქვეყანა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გვსურს, რომ მისი გაძლიერება ვიხილოთ და მომავალშიც ასე

იქნება“. ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სტრატეგიული მოკავშირე საქართველოს წინსვლას მტკიცედ უჭერს მხარს.

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

მაკრონის 5-წლიანი საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვამდე 2 წლით ადრე, საფრანგეთს ახალი მთავრობა ჰყავს

2020 წლის ივლისიდან, ემანუელ მაკრონის პრეზიდენტობიდან დაახლოებით სამი წლის შემდეგ, საფრანგეთს ახალი [პრემიერ-მინისტრი](#) ჰყავს. ცენტრისტი ედუარდ ფილიპი მემარჯვენე ჟან კასტექსმა ჩაანაცვლა. პრემიერ-მინისტრის ცვლილების შესაბამისად, მაკრონის 5-წლიანი საპრეზიდენტო მანდატის ამოწურვამდე 2 წლით ადრე განახლებულ იქნა ასევე საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა.



საფრანგეთის ყოფილი და ახალი პრემიერ-მინისტრები ხელისუფლების გადაცემის დროს, 2020 წლის 3 ივლისი / ფოტო: ©Charles Platiau/Reuters

3 ივლისს, საფრანგეთის მუნიციპალური არჩევნების მე-2 ტურიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ედუარდ ფილიპის მიერ გაკეთებული განცხადება პრემიერ-მინისტრობიდან გადადგომის თაობაზე პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მყისიერად დააკმაყოფილა. საფრანგეთის ახალ პრემიერ-მინისტრად კი მისი ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ჟან კასტექსი დანიშნა.

კასტექსს ფრანგული პოლიტიკური სპექტრი ნაკლებად იცნობს, მაკრონის მთავრობაში იგი კოვიდ-19-ის პანდემიის შემდგომ კრიზისის მართვაზე იყო პასუხისმგებელი, მემარჯვენე იდეოლოგიის მხარდამჭერი, უფრო ადრე, გახლდათ ნიკოლა სარკოზის მრჩეველი. ახალმა პრემიერ-მინისტრმა, მაკრონის პოლიტიკის ამჟამინდელი პრიორიტეტების შესაბამისად, ნაწილობრივ განაახლა [მინისტრთა კაბინეტი](#), მათ შორის, აღსანიშნავია ახალი მინისტრები, რომელიც ჰყავს *შინაგან საქმეთა, გარემოს დაცვის, იუსტიციისა და კულტურის* სამინისტროებს.

სანიტარული კრიზისის ფონზე მთავრობის ცვლილება საფრანგეთში ემანუელ მაკრონის მე-2 ვადით პრეზიდენტობის შესაძლო სურვილსაც უნდა უკავშირდებოდეს. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადამდგარი ედუარდ ფილიპი უპრეცედენტოდ მაღალი პოპულარობით სარგებლობდა. ერთი მხრივ, იგი გახლდათ 2012 წლის შემდეგ საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრებს შორის ყველაზე მაღალი [საზოგადოებრივი ნდობის](#) მაჩვენებლის მქონე უშუალოდ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დატოვების დროს, მეორე მხრივ კი, ედუარდ ფილიპის პოპულარობა საკმაოდ გაიზარდა პანდემიის ფონზე პრეზიდენტ მაკრონთან შედარებით.

დაბოლოს, საფრანგეთის ახალი მთავრობა ქვეყნის მუნიციპალური არჩევნების მე-2 ტურიდან რამდენიმე დღის შემდეგ იქნა ფორმირებული. მოცემულ არჩევნებში პრეზიდენტ მაკრონის პარტიამ მოსალოდნელზე გაცილებით დაბალი შედეგები მიიღო და დამარცხდა საფრანგეთის დიდი ქალაქების უმეტეს ნაწილში - ძირითადად მწვანეთა, მაგრამ ასევე მემარცხენე დ მემარჯვენე კანდიდატების წინააღმდეგ. გამონაკლისს წარმოადგენს საპორტო ქალაქი ჰავრი, რომლის მერობის კანდიდატთა შორის გამარჯვება სწორედ ედუარდ ფილიპმა მოიპოვა და პრემიერ-მინისტრის პოზიციის დატოვების შემდეგ, მან სწორედ აღნიშნული თანამდებობა დაიკავა. ქალაქ ჰავრს, როგორც მერი, უკვე მართავდა, არც მეტი, არც ნაკლები, 2010-2017 წლებში ცენტრისტი ედუარდ ფილიპი, რომელსაც განსხვავებით სხვა ფრანგი ლიდერებისგან, ვფიქრობ, მეტად შეუძლია ერთდროულად მემარჯვენე და მემარცხენე ამომრჩევლის მობილიზება და თუნდაც, მაგალითად, 2022 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

2020 წლის 21 ივლისი - ისტორიული დღე ევროპისთვის

„ისტორიული დღე ევროპისთვის“ - სწორედ ასე შეაფასეს ევროკავშირის წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების მეთაურებმა, მათ შორის, საქართველოს [პრეზიდენტმა](#), 21 ივლისს, ევროკავშირის ლიდერებს შორის მიღწეული შეთანხმება გაერთიანების [2021-2027 წლების ბიუჯეტის](#) თაობაზე. 4-დღიანი დამაბული მოლაპარაკებების შედეგად, ევროკავშირის 27-ვე წევრი ქვეყანა შეთანხმდა მომავალი 7 წლის საბიუჯეტო პაკეტზე, რაც მოიცავს 1 824.3 მილიარდ ევროს, მათ შორის, 750 მილიარდი ევრო განკუთვნილია უშუალოდ პოსტ-პანდემიურ კრიზისთან გასამკლავებლად.

ევროკავშირის პოსტ-პანდემიური ანტიკრიზისული ფინანსური პაკეტი, რომელიც „ევროკავშირის მომავალი თაობის“ სახელითაა ცნობილი, ეყრდნობა ორ ძირითად მიმართულებას. კერძოდ, კოვიდ-19-ით დაზარალებული ევროპული ქვეყნების ეკონომიკების

აღგენის მიზნით გამოყოფილი 750 მილიარდი ევროდან 390 მილიარდი ევრო განკუთვნილია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის გრანტების სახით გადასაცემად, ხოლო დანარჩენი 360 მილიარდი ევროს ღირებულების ფინანსური პაკეტი კი წევრ სახელმწიფოებზე გაიცემა სესხების სახით.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ფინანსური პაკეტის ფარგლებში, გრანტების სახით დახმარება გაეწევა კოვიდ-19-ის შედეგად ევროკავშირის წევრ ყველაზე მეტად დაზარალებულ ქვეყნებს. ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნისთვის მოცემული ანტიკრიზისული ფინანსური დახმარება კი გაცემულ იქნება გარკვეული წინაპირობის საფუძველზე, რაც გულისხმობს შესაბამისი წევრი ქვეყნის მიერ კანონის უზენაესობის დაცვის მხრივ გაწეულ ქმედებებს. ამასთან, ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოსთვის გადაცემული თანხა გრანტის სახით საბოლოოდ ანაზღაურებულ იქნება გაერთიანების 27-ვე წევრი ქვეყნის მიერ ერთობლივად.



ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და ევროპული საბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი, 2020 წლის 21 ივლისი / ფოტო: ©STEPHANIE LECOQC

საბოლოო ჯამში, ერთიან ევროპულ ბიუჯეტზე შეთანხმებას, სულ მცირე, ოხთგანზომილებიანი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული შეთანხმების ის ნაწილი, რაც უკავშირდება ანტიკრიზისული ფინანსური გეგმის ფარგლებში გრანტების გაცემას პანდემიით ყველაზე მეტად დაზარალებულ წევრ ქვეყნებზე, რომელიც შემდგომში ევროკავშირის 27-ვე წევრი სახელმწიფოს მიერ ერთობლივად იქნება ანაზღაურებელი, ეს გახლავთ ევროპული სოლიდარობის უპრეცედენტო აქტი და ნამდვილად ისტორიულ მოვლენად შეიძლება განვიხილოთ; ამასთან, საგულისხმოა, რომ სწორედ აღნიშნული 7-წლიანი ბიუჯეტის შეთანხმებაში იქნა პირველად განსაზღვრული ბიუჯეტით

სარგებლობის წინაპირობად წვერი ქვეყნების პატივისცემა კანონის უზენაესობისადმი, რაც თავის მხრივ, დამატებით მექანიზმს ქმნის ევროპული ღირებულებების მეტად დაცვის უზრუნველსაყოფად გაერთიანების წვერი ქვეყნების მიერ; აქვე აღსანიშნავია, რომ მომავალი 7-წლიანი ევროპული ბიუჯეტი განხილულ იქნა, როგორც გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევის საშუალება კონტინენტზე, ვინაიდან მთლიანი ბიუჯეტის 30% სწორედ კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვის მიმართულებითაა გამოყოფილი; დაბოლოს, კოვიდ-19-ის ფონზე მიღწეული ეს შეთანხმება, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ მსოფლიოში ევროკავშირის წვერი ქვეყნები ერთ-ერთი ყველაზე მეტად დააზარალა, კვლავ უსვამს ხაზს ევროკავშირის ერთიანობას და თვით კრიზისულ სიტუაციაშიც კი, განსაკუთრებით ე.წ. ფრანგულ-გერმანული წყვილის მდგრადობას ევროკავშირში, ვინაიდან 7-წლიანი ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრული პოსტ-პანდემიური ანტიკრიზისული ფინანსური გეგმის [ინიციატორები](#), თავდაპირველად, სწორედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საფრანგეთი გახლდათ.

ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

საოკუპაციო ხაზთან სახიფათო პროვოკაციები არ წყდება



ფოტო: David Mdzinarishvili/REUTERS

საოკუპაციო ხაზთან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები კვლავ გრძელდება. რუსეთის ფედერაციისა და მის მიერ მართული რეჟიმის მხრიდან ადამიანების გატაცება, კერძო საკუთრების ხელყოფა და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა ოკუპაციის თანმდევ რუტინად იქცა. ამ ტრაგიკულ რეალობაშიც კი, არსებობს შემთხვევები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და დროულ რეაგირებას საჭიროებენ. 2020 წლის 11 ივლისს სოფელ ქვემო ჭალის სიახლოვეს, საოკუპაციო ძალებმა დაჭრეს საქართველოს მოქალაქე, კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 33 წლის ზაზა გახელაძე, რომელსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და ცხინვალის იზოლატორში გადაიყვანეს. ინციდენტთან დაკავშირებით გააქტიურდა ცხელი ხაზი და ინფორმაცია მიეწოდა, როგორც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას, ასევე, ჟენევის მოლაპარაკების ფორმატის თანათავმჯდომარეებს. ინციდენტზე რეაგირებაში ჩაერთო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიც, რომელიც განცხადებით გამოეხმაურა შემთხვევას და დაიწყო ყველა იმ მოქმედების კოორდინაცია, რომლებიც აუცილებელი იყო დაკავებულის გასათავისუფლებლად. შემთხვევას გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და დაგმო საქართველოს მოქალაქის დაჭრისა და დაკავების ფაქტი, ასევე, მოითხოვა დაკავებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლება. საკითხთან დაკავშირებით განცხადება გააკეთეს [ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ](#) და [შეერთებული შტატების საელჩომ](#) საქართველოში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში ხაზი გაესვა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) განახლების მნიშვნელობას მუდმივი დიალოგის წარმართვისა და ნდობის განმტკიცების კუთხით. შეერთებული შტატების საელჩოს განცხადებაში ყურადღება გამახვილდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების შესრულების მნიშვნელობაზე და ამ კონტექსტში- შეიარაღებული ძალების გაყვანაზე კონფლიქტამდელ პერიოდში არსებულ პოზიციებზე.

ზაზა გახელაძე კვლავ ცხინვალის იზოლატორში რჩება და უცნობია, თუ როდის გაათავისუფლებენ მას. ეს შემთხვევა მნიშვნელოვნად ამძიმებს IPRM-ის ფორმატის ფონს და აღრმავებს კრიზისს, რომელიც კონფლიქტის დეესკალაციას მნიშვნელოვნად აფერხებს. გახელაძის დაჭრისა და დაკავების ფაქტი ხაზს უსვამს ოკუპანტი ძალების მიდგომებს ადამიანის უფლებებისა და მშვიდობის კუთხით. აღნიშნული ინციდენტი, მათ შორის, გამოძახილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუარესებული ჰუმანიტარული მდგომარეობისა, რომლის შესახებაც ბრიტანეთის მთავრობა [საკუთარ ანგარიშში](#) დეტალურად საუბრობს. ვიმედოვნოთ, რომ ზაზა გახელაძე დროის უმოკლეს პერიოდში გათავისუფლდება, რისთვისაც აუცილებელია ყველა შიდა და საერთაშორისო რესურსის კონსოლიდაცია.

საქართველო კვლავ აკმაყოფილებს ვიზა ლიბერალიზაციის მოთხოვნებს



2020 წლის 10 ივლისს ევროკავშირის კომისიამ ევროპის პარლამენტისა და საბჭოსთვის გამოაქვეყნა მესამე [ანგარიში](#) ვიზის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში. ყოველწლიური დოკუმენტი შეეხება მესამე ქვეყნების (ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოების) მიერ უვიზო რეჟიმის შენარჩუნებისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შეფასებას. ანგარიში ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოებისა და მიგრაციის ცალკეულ კომპონენტებზე, რომელთა მიმართულებითაც დამატებითი ნაბიჯებია გადასადგმელი. დოკუმენტის თანახმად 2019 წელს საქართველოს იმ მოქალაქეების რიცხვი, რომლებიც შენგენის ზონაში არ შეუშვეს 17%-ით გაიზარდა (3,805-დან 4,435-მდე). საქართველოს მოქალაქეების მიერ შენგენის ზონაში უკანონოდ დარჩენის შემთხვევებიც სამწუხაროდ გაზრდილია 26%-ით (9,400-დან 11,845-მდე). მოიმატა ასევე თავშესაფრის მაძიებელთა მიერ წარდგენილი განაცხადების რაოდენობამ 9%-ით (19,730-დან 21,570-მდე). 2020 წლის პირველი კვარტლის პერიოდში თავშესაფრის მოთხოვნით წარდგენილი განაცხადების რიცხვი 42%-ით არის შემცირებული, რაც პანდემიის ფონზე ჩაკეტილი საზღვრების გავლენაა. გამოწვევების პრევენციის მიზნით საქართველოს მთავრობამ მასობრივი საინფორმაციო კამპანიის სამი რაუნდი ჩაატარა. ევროკავშირის კომისიის ფარგლებში საქართველოს ეწვია ექსპერტთა ჯგუფი, რომლებმაც საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან ერთად შესამუშავებელი საკანონმდებლო ცვლილებები განიხილეს.

უსაფრთხოების ნაწილში მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ქართული ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფები, რომლებიც კერძო საკუთრების წინააღმდეგ სხვადასხვა სახის დანაშაულს ჩადიან. გამოვლენილია ქართველი კიბერკრიმინალების ჯგუფიც, რომლებიც ორგანიზაციის GozNym ფარგლებში მოქმედებენ. პოზიტიური კუთხით უნდა აღინიშნოს, საქართველოს მიერ ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატების გაძლიერება ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროებთან. აგრეთვე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის

მიზნით მიღებული 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სამოქმედო გეგმა 2019-2020. ევროკომისია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს პოზიტიურად აფასებს და ხაზს უსვამს თავშესაფრის მაძიებელთა რიცხოვნობის შემცირების მიზნით შემდგომი ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას.